<p>• ინფორმაცია ინდექსის შესახებ:</p>	<p>ხელშეკრულებით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი მიბმულია Term SOFR-ის ინდექსზე (შემდგომში - <b>Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთი</b>). Term SOFR“ (The Secured Overnight Financing Rate) წარმოადგენს უზრუნველყოფილ ერთდღიანი რესურსის განაკვეთს, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მართვის ორგანოს (FCA) მიერ ავტორიზებული ადმინისტრატორი - CME Group Benchmark Administration Limited. Term SOFR-ის მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.cmegroup.com/market-data/cme-group-benchmark-administration/term-sofr.html">https://www.cmegroup.com/market-data/cme-group-benchmark-administration/term-sofr.html</a>.</p> <p>საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ფორმირებულია შემდეგნაირად: <b>Term SOFR-ის განაკვეთს</b> დამატებული ბანკის მიერ განსაზღვრული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.</p> <p>მხარეები თანხმდებიან, რომ: ა)ხელშეკრულების დადების მომენტისთვის <b>Term SOFR- ის 3 თვიანი განაკვეთი</b> შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე 1(ერთი) სამუშაო დღით ადრე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ბოლო სამუშაო</p>
---------------------------------------	--

\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

	<p>დღის წინა სამუშაო დღეს დაფიქსირებულ <b>Term SOFR--ის 3 თვიან განაკვეთს</b> (დამრგვალებული მესამედების სიზუსტით), კრედიტის თანხის შესაბამის უცხოურ ვალუტაში; ბ) <b>Term SOFR- ის 3 თვიანი განაკვეთის</b> ცვლილება/განახლება მოხდება ყოველ 90-ე კალენდარულ დღეს (შემდგომში „<b>ცვლილების თარიღი</b>“), იმ შემთხვევაში თუ <b>ცვლილების თარიღი</b> ემთხვევა არასამუშაო დღეს, განახლება მოხდება ბოლო სამუშაო დღეს, <b>ცვლილების თარიღამდე 1(ერთი)</b> სამუშაო დღით ადრე დაფიქსირებულ <b>Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> მიხედვით (დამრგვალებული მესამედების სიზუსტით), მაგრამ არანაკლებ 0%-ს; გ) <b>Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> განახლებით გამოწვეული საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ ბანკი აცნობებს კლიენტს, ცვლილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მხარეთა შორის შეთანხმებული საკომუნიკაციო ერთ ან რამდენიმე არხის საშუალებით.</p> <p><b>ბანკი</b> უფლებამოსილია არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად შეცვალოს: ა) Term SOFR-ის ინდექსის განახლების პერიოდი; ბ) შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარო ინდექსი მსგავსი ან მასთან მიახლოებული საერთაშორისო საჯარო ინდექსით,თუ მოხდება აღნიშნული ინდექსის გაუქმება და/ან ჩანაცვლება; გ) უშულოდ Term SOFR-ის ინდექსის გაანგარიშების პერიოდი (ნაცვლად <b>Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთისა</b>, გამოიყენოს განსხვავებული პერიოდი); გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის ტიპი, ფიქსირებული, ცვლადი ან/და შერეული საპროცენტო განაკვეთით. ასეთ შემთხვევაში, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ბანკის ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და პროცენტის ტიპის ცვლილების თარიღამდე 1(ერთი) სამუშაო დღით ადრე, დაფიქსირებული <b>Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> (ან იმ მომენტისთვის მოქმედი SOFR-ის სხვა პერიოდის ინდექსის) ჯამს.</p> <p><b>(Term SOFR-ის 3 თვიანი განაკვეთის შემთხვევაში)</b></p>
--	---

<ul style="list-style-type: none"><li>ინფორმაცია ინდექსის შესახებ:</li></ul>	<p>ხელშეკრულებით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი მიბმულია EURIBOR-ის ინდექსზე (შემდგომში - <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთი</b>). EURIBOR (Euro Interbank Offered Rate) ინდექსი წარმოადგენს ევროპის ბანკთაშორის სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთს, კრედიტის თანხის შესაბამის უცხოურ ვალუტაში. დროის კონკრეტულ მომენტში EURIBOR-ის მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.euribor-rates.eu/en/">https://www.euribor-rates.eu/en/</a>.</p> <p>საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ფორმირებულია შემდეგნაირად: EURIBOR -ის განაკვეთს დამატებული ბანკის მიერ განსაზღვრული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.</p>
--	--

\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

	<p>მხარეები თანხმდებიან, რომ: ა) ხელშეკრულების დადების მომენტისთვის <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთი</b> შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე 2(ორი) სამუშაო დღით ადრე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ბოლო სამუშაო დღის წინა 2(ორი) სამუშაო დღით ადრე დაფიქსირებულ <b>EURIBOR-ის 3 თვიან განაკვეთს</b> (დამრგვალებული მეასედების სიზუსტით), კრედიტის თანხის შესაბამის უცხოურ ვალუტაში; ბ) <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> განახლება/ცვლილება (შემდგომში „<b>ცვლილების თარიღი</b>“) მოხდება ყოველ 90-ე კალენდარულ დღეს, იმ შემთხვევაში, თუ <b>ცვლილების თარიღი</b> ემთხვევა არასამუშაო დღეს, განახლება მოხდება ბოლო სამუშაო დღეს, <b>ცვლილების თარიღამდე</b> 2(ორი) სამუშაო დღით ადრე დაფიქსირებული <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> მიხედვით (დამრგვალებული მეასედების სიზუსტით), მაგრამ არანაკლებ 0%-ს; გ) <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> განახლებით გამოწვეული საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ ბანკი აცნობებს კლიენტს, ცვლილებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მხარეთა შორის შეთანხმებული საკომუნიკაციო ერთ ან რამდენიმე არხის საშუალებით.</p> <p><b>ბანკი</b> უფლებამოსილია, <b>კლიენტისთვის</b> არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად შეცვალოს: ა) EURIBOR-ის ინდექსის განახლების პერიოდი; ბ) შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარო ინდექსი მსგავსი ან მასთან მიახლოებული საერთაშორისო საჯარო ინდექსით, თუ მოხდება აღნიშნული ინდექსის გაუქმება და/ან ჩანაცვლება; გ) უშულოდ EURIBOR-ის ინდექსის გაანგარიშების პერიოდი (ნაცვლად <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთისა</b>, გამოიყენოს განსხვავებული პერიოდი); გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის ტიპი, ფიქსირებული, ცვლადი ან/და შერეული საპროცენტო განაკვეთით. ასეთ შემთხვევაში, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ბანკის ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და პროცენტის ტიპის ცვლილების დღემდე 2(ორი) სამუშაო დღით ადრე, დაფიქსირებული <b>EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთის</b> (ან იმ მომენტისთვის მოქმედი EURIBOR-ის სხვა პერიოდის ინდექსის) ჯამს. <b>(EURIBOR-ის 3 თვიანი განაკვეთის შემთხვევაში)</b></p>
--	---

<p>• დაზღვევის პირობები</p>	<p>• <b>საკრედიტო ხელშეკრულებაზე</b> ხელმოწერით [---] ადასტურებს, რომ <b>ბანკმა</b> განახორციელოს მისი/მათი სიცოცხლის დაზღვევა საბანკო კრედიტის მოქმედების ვადის განმავლობაში (მაგრამ არაუმეტეს იმ პერიოდამდე, როდესაც <b>კლიენტს</b> შეუსრულდება 72 წელი). <b>მხარეები</b> თანხმდებიან, რომ <b>კლიენტი</b> დაზღვეული იქნება შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში: [---] (საიდენტიფიკაციო ნომერი: [---])</p>
-----------------------------	--

\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

	<p>).დაზღვევის დეტალური პირობები მოცემულია ვებ-გვერდზე: <a href="https://bit.ly/3wQyN7J">https://bit.ly/3wQyN7J</a></p> <p>ზემოაღნიშნულ კლიენტ(ებ)ზე სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად:</p> <p>[---] მხარეები თანხმდებიან, რომ ჩარიცხული სადაზღვევო თანხით შემცირდება კლიენტ(ებ)ის ვალდებულება <b>ბანკის</b> წინაშე და თუ აღნიშნული სადაზღვევო თანხით სრულად არ ფარება კლიენტ(ებ)ის ვალდებულება <b>ბანკის</b> წინაშე, საბანკო კრედიტის ვადა დარჩება უცვლელი, ხოლო გადახდის გრაფიკით განსაზღვრული გადასახდელების ოდენობა შემცირდება შესაბამისი პროპორციით. <b>(დაზღვევის პირობების შემთხვევაში)</b></p>
--	--

#### 4. საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები

4.1. საბანკო კრედიტის გადახდა მოხდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით. გრაფიკი შესაძლოა ითვალისწინებდეს სხვა ტიპის გადასახადებსაც. გრაფიკი თან ერთვის საკრედიტო ხელშეკრულებას (დანართი 1) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, საბანკო კრედიტის გაცემა ხდება ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად), ყოველი მომდევნო ტრანშის გაცემის შემდეგ შესაძლებელია შედგეს ახალი (დამატებითი) გადახდის გრაფიკი, თუმცა კლიენტის მიერ აღნიშნულ გრაფიკზე ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული, ყოველი ათვისებული ტრანშის ყოველთვიური გადახდის თარიღი იქნება იგივე, რაც განსაზღვრულია საწყისი გადახდის გრაფიკით.

4.2. თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება ბანკის სერვის-ცენტრში, სამუშაო დღის 16:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით და კლიენტს გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება ბანკის წინაშე, როგორც უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებიდან, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებიდან) გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი. გრაფიკში მითითებული გადასახდელების გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკში მითითებულ თარიღებში, სამუშაო დღის 23:59 საათის ჩათვლით, საბანკო კრედიტთან დაკავშირებულ კრედიტის მომსახურე ანგარიშზე თანხის განთავსებით ან/და სამუშაო დღის 21:59 საათის ჩათვლით სხვა არამომსახურე ანგარიშზე თანხის განთავსების გზით. თუ გრაფიკში მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამუშაო დღეს ნებისმიერ დროს განხორციელებული გადახდები აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები. {contractNumber}

4.3. კლიენტის მიერ გადახდილი ან/და მის ანგარიშზე არსებული თანხით, მათ შორის საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ, ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში), პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, კლიენტის ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს საკრედიტო ხელშეკრულება ან/და არ მოითხოვს კლიენტი.

4.4. კლიენტის მიერ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნისა და კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია დაფაროს საბანკო კრედიტი არაუგვიანეს 7(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა საბანკო კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა შეწყდება: ა) იმავე დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია სამუშაო დღეს;

\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ბ) მომდევნო სამუშაო დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია არასამუშაო დღეს.

4.5. **კლიენტის** მიერ, **საკრედიტო ხელშეკრულებაში** ან/და **გენერალურ ხელშეკრულებაში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც ფორმდება **საკრედიტო ხელშეკრულება** მითითებული რაიმე სახის საკონტაქტო მონაცემების შეცვლისას, **ბანკისათვის** შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ამ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ყველა სახის ზიანი.

4.6. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს **საკრედიტო ხელშეკრულებაში** მითითებული პირგასამტეხლოს ოდენობები, მომსახურების (ყველა სახის მომსახურების საკომისიოს/გადასახადის, მათ შორის სმს და დისტანციური მომსახურების გადასახადის ოდენობა) ტარიფები **კლიენტთან** დამატებითი შეთანხმების გარეშე. პირგასამტეხლობის/ჯარიმების, საკომისიოს ოდენობის (მომსახურების ტარიფების) ცვლილების შესახებ ინფორმაცია ცვლილებების ძალაში შესვლამდე 2(ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში-არანაკლებ ერთი თვით ადრე პირადად ეცნობება **კლიენტს** სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით. ამასთან, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობის ცვლილება აუთჯობსებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან.

4.7. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებამდე სრულად გაეცნო მის გაფორმებაზე გადაწყვეტილების მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაციას, **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისთვის გამოყენებული ყველა ფინანსური ხარჯის მოცულობას და დაანგარიშების წესს, შესაძლო სავალუტო რისკებს, მათ შორის იმას, რომ: ა) **კლიენტის** შემოსავლისა და საბანკო კრედიტის ვალუტის სხვაობა წარმოადგენს დამატებით რისკს; ბ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გაიზარდოს საბანკო კრედიტზე გადასახდელი თანხა; გ) საბანკო კრედიტის გადაუხდელობამ შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** ანგარიშების დაყადაღება ან/და **კლიენტის** საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების რეალიზაცია **საბანკო კრედიტის** (მათ შორის მასზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სხვა გადასახდელის) დასაფარად.

4.8. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის <https://credobank.ge/contact/>, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის <https://www.facebook.com/CredoBank> ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე: <https://credobank.ge/protection/>. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: <https://credobank.ge/protection/> და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.

4.9. **ბანკი** უფლებამოსილია, **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტს** მოსთხოვოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც დაკავშირებული იქნება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე სრული ინფორმაციის მიღებასთან/მონიტორინგთან.

4.10. **კლიენტის** მიერ ბანკთან გაფორმებული **საკრედიტო ხელშეკრულების**, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობის ან/და ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობის დარღვევის გამო, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, დარიცხული/დასარიცხი პროცენტის და ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის პირგასამტეხლოს და გრაფიკით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელის) სრულად ან ნაწილობრივ, დაუყოვნებლივ, ვადაზე ადრე გადახდა.

4.11. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედება, თუ **კლიენტი** დაარღვევს **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობას, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიზნობრიობას ან/და **კლიენტი** დაარღვევს ბანკთან გაფორმებულ ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობას. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულების** ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და გრაფიკით

\* შენიშვნა წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ **საკრედიტო ხელშეკრულების** შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.12. **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს **მხარეთა** შეთანხმებით. ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ **საკრედიტო ხელშეკრულების** შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.13. იმ შემთხვევაში, თუ საბანკო კრედიტი უზრუნველყოფილია იპოთეკით ან/და გირავნობით, **მხარეები** თანხმდებიან, რომ მოთხოვნა არ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის **ბანკის** საკუთრებაში გადასვლისას იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს **ბანკის** მოთხოვნას ან თუ ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არაა საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად.

4.14. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულია საბანკო კრედიტის გამოყენების მიზნობრიობა, **ბანკი** უფლებამოსილია, საბანკო კრედიტის თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** (ან/და შესაბამისი განაცხადით) განსაზღვრული მესამე პირის (მიმღების) ანგარიშზე.

4.15. **მხარეები** ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულების **მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **კლიენტი**:

4.15.1. თითოეული ასეთი **კლიენტი** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს.

4.15.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) **კლიენტს**.

4.15.3. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე **კლიენტის** ანგარიშზე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი **კლიენტის** ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**), თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

4.15.4. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი **კლიენტები ბანკთან** ურთიერთობაში. **კლიენტი/უზრუნველყოფის** საგნის მესაკუთრე/თავდები მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საბანკო კრედიტი** ვადაზე ადრე (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ), დანარჩენი **კლიენტების** სახელით ხელი მოაწეროს **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.16. თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის მოცულობა დაკავშირებულია რაიმე სახის საჯარო ინდექსზე და თუ აღნიშნული ინდექსის ცვლილება გავლენას ახდენს საპროცენტო სარგებლის მოცულობაზე, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და **ბანკის** ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, საჯარო ინდექსის ცვლილებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა **ბანკის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.17. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი **კლიენტ(ებ)ი** ბანკთან ურთიერთობაში. მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, ნებისმიერი **კლიენტის** ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი ვალდებულება (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ), დანარჩენი **კლიენტების** სახელით ხელი მოაწეროს როგორც **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.18. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტო ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე. {SakreditoShuamavali}

4.19. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს/არ დაარღვევს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცით, შრომის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობას და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დანერგავს გარემოს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ ითანამშრომლებს მხოლოდ იმ სერვისის/მომსახურების მომწოდებლებთან, ვინც იცავს საქართველოს შრომით კანონმდებლობას. **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევა წარმოადგენს

\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

საკრედიტო ხელშეკრულების მნიშვნელოვან დარღვევას და ბანკი უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) დაუყოვნებლივ შესრულება.

4.20. **კლიენტი** ინფორმირებულია, რომ **ბანკი** ხელშეკრულების თავდება/თანამსესხებელს, ასევე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის/იპოთეკის/საბანკო გარანტიის ხელშეკრულების მხარეებს გადასცემს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებს, ხოლო მათი მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემს მათ ხელშეკრულების (მათ შორის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების და ნებისმიერი დანართ(ებ)ის) ასლებს. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე პუნქტში აღნიშნულ პირებს ნებისმიერ დროს გადასცეს ხელშეკრულების (მათ შორის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების და ნებისმიერი დანართ(ებ)ის) ასლ(ებ)ი, მათი მხრიდან მოთხოვნის დაფიქსირების გარეშე ან/და **კლიენტის** დამატებითი თანხმობის ან/და ინფორმირების გარეშე.

## 5. კონფიდენციალურობა და კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე **მხარის** წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

5.1.1. თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისთვის.

5.1.2. თუ ის ცნობილი იყო **მხარისათვის საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

5.1.3. რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით.

5.2. ყოველგვარი ექვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე:

5.2.1. სს „კრედიტიწფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ მესამე პირს, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტიწფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

5.2.2. სს „კრედიტიწფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია აქტიური საკრედიტო ვალდებულება **ბანკის** წინაშე, გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

5.2.3. **კლიენტისათვის** ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების (მათ შორის საკრედიტო, სადებოზიტო და სხვა) შეთავაზების/გაწევის მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.2.4. **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს (მათ შორის **ბანკის** კრედიტორებს), თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **ბანკის** მიერ მესამე პირების წინაშე სხვადასხვა გარიგებებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **კლიენტის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში), **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ნაკსრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

## 6. პრეტენზიები და დავები

6.1. **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია **ბანკმა კლიენტს** უნდა წაუყენოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. **კლიენტი** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან, შეტყობინებაში მითითებულ ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.

6.2. **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის,



\* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

\*\* შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.  
6.3. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 7. ზოგადი პირობები

7.1. ბანკის სახედამხედველო ორგანოს წარმომადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (თბილისის იუსტიციის სახლი).

7.2. საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები კლიენტმა უნდა შეასრულოს პირადად. კლიენტი არ არის უფლებამოსილია საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოსვლელი მოთხოვნის) მიიღოს მესამე პირისგან.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ გავრცელდება კლიენტზე მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს საკრედიტო ხელშეკრულების სრულად ბათილობას და კლიენტზე გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.

7.4. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული საკრედიტო ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ფლობს ქართულ ენას, საკრედიტო ხელშეკრულება შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს მისთვის გასაგებ უცხო ენაზეც, რა დროსაც, ქართულ და უცხოურ ენაზე შედგენილ ტექსტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებას.

7.6. საკრედიტო ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.